№ 190 სექტემბერი 4, ხუთშაბათი 1886 სექტემბერი 4, ხუთშაბათი № 190

გაზეთი ღირს

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	7 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, შავერდოვის საგაზეთოს, ცენტრალურსა [illegible] წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1886 წელიწადი

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1886 წელიწადი

გაზეთი „ივერიის“ 1-ლის სექტემბრიდამ წლის დამლევამდე ღირს 4 მ. 75 კ.

ტფილისი, 3 სექტემბერი

ემილ დე ლაველე თავის გამოჩენილის თხზულების ერთს კარს,*) რომელსაც სათაურადა აქვს «მემკვიდრეობითი ჭერა მიწისა», ასე იწყობს:

> „არის ერთ გვარი ძველი სახე საკუთრებისა, რომლის გამოკვლევასა და გამოძიებასა არ უნდა მოერიდნონ კანონმდებელნი და ეკონომისტები. იმიტომ-რომ მაგგვარს სახეს საკუთრებისას შეუძლიან შეიტანოს ელემენტი მორიგებისა იმ ბრძოლაში, რომელიც ყველგან გამართულია იმის შუა ვინც აკეთებს მიწას და ფასსა სდებს და იმისა, ვინც ლალას იღებს. ეგ სახე მემკვიდრეობითი ჭერაა მიწისა, რომელსაც გოლანდიაში ბეკლემ-რეხტი ჰქიან, იტალიაში ლიველლო, პორტუგალიაში აფორამენტო,“

და ჩვენში კიდევ ხიზნობა—დავუმატებთ ჩვენ.

ემილ დე-ლაველე ჯერ გვამცნებს რა ბუნებისა არის თვითვეულის სახელის მიწათ-მფლობელობა და გვეუბნება, რომ ყოველი იგი მფლობელობა მიწისა ერთის და იმავე ძირისანი არიან და ერთისა და იმავე მიდრეკილებისა და თვისებისანი. შემდეგ ამისა თვითვეულს მათგანზე ასე ლაპარაკობს:

> „აფორამენტო ცოტად თუ ბევრად გავრცელებულია მთელს პორტუგალიაში“.... „ხოლო ტაგოს მდინარის ჩრდილოდ უფრო ხშირია მაგ გვარი წესი მიწათ-მფლობელობისა და ამ წესს აწერენ იმ წარჩინებულს კულტურას და მიწათ-მომქმედთა კმაყოფილებას, რომლითაც გათქმულია მინიოს პროვინცია“.... საშვილიშვილოდ (მემკვიდრეობით) ჭერა მიწისა ბეკლემ-რეხტის და აფორამენტის წესით მართლა რომ სახეიროა და ხელ-მოსაცემი. ამისი დასამტკიცებელი საბუთი ის მთლად განსაკუთრებული კეთილ-დღეობაა, რომელიც ამ რიგს მიწათ-ფლობელობას მიუნიჭებია ორის სულ სხვა-და-სხვა პროვინციისათვის: მინიოსათვის პორტუგალიაში და გრენინგენისათვის ნიდერლანდში“

გერმანიის გამოჩენილი ეკონომისტი როშერი უფრო შორს მიდის და ამტკიცებს, რომ ლალით თუ იჯარით მიწის მჭერელი უფრო დიდს ხარჯს გასწევს მიწის გასაკეთებლად ვიდრე მოსაკუთრეო, იმიტომ-რომ მოსაკუთრეს, მიწის სყიდვაში უნდება დიდ-ძალი ფულიო, მაშინ, როდესაც მოლალეს, თუ იჯარადარს კი შეუძლიან მარტო მიწის განკარგებას მოახმაროს რაც რამა აქვსო. თუმცა ბევრით მართალს არა ჰგავსო ეს აზრი როშერისა, ამბობს ემილ დე-ლაველე, მაგრამ მაინც და მაინც ბეკლემ-რეხტი მაგ ნაკლს მოშორებულიაო და ამ სახით:

> „ბეკლემ-რეხტს აქვს ის სიკეთე იჯარით მიწის-ჭერისა, რაზედაც როშერი ლაპარაკობს, და ამასთანავე ის სრული იმედიც სამერმისოდ, საშვილი-შვილოდ მიწის ჭერისა, რომელსაც იძლევა მარტო საკუთრება... ამის გამო შესაძლოა დარწმუნებით ვსთქვათ, რომ ბეკლემ-რეხტი საკუთრებაზედ უფრო მეტად ხელს უწყობს კარგს კულტურას მიწისას, რადგანაც აქ მიწა სასყიდელი არ არის და სასყიდელი ლონე შესაძლოა მიწის განკარგებას მოხმარდეს და რადგანაც იგი, ამას გარდა ახალისებს მას, ვინც მიწას ამოქმედებს, ერთი-ორად იმხნევოს, რომ რაც შესაძლოა მეტი მოსავალი მოიყვანოს.“

ემილ დე-ლაველე თავის თხზულებაში, რომელსაც ჰქვიან: მიწათ-მფლობელობის წესი ირლანდიაში, პირ-და-პირ ირწმუნება, რომ საცა კი ჩვენებურის ხიზნობის მაგვარი მფლობელობა არის თურმე, ყველგან მიწის-მუშაკი, მიწის-მომქმედი წარმატების უკეთესს ხარისხზედა სდგასო.

> „ერთობ ულსტერშიო*), ამბობს ამის საბუთად ლაველე: საცა ფერმერი ჰპოულობს საკმაო გარანტიას მიწის-ხმარების უფლებისათვის, მიწა კარგად არის შემუშავებული და ნაკეთები. კორკის საგრაფოში, ბანდონის მდინარის პირას დაფენილია მშვენიერი ვაკე. საგანგებო სახლები ფერმერებისა მოჩანან კარგად ნაკეთებ მინდვრებ შორის. საქონელი მშვენივრად ნაპატივებია, თითონ მიწის მჭერელნი რიგიანად არიან ჩაცმულნი და ეტყობათ კმაყოფილება.“

რა არის ამისი მიზეზი? ის არისო, გვარწმუნებს ლაველე, რომ ეს მამული ეკუთვნის ჰერცოგს დევონშირსა, რომელსაც ულსტერის ჩვეულების წესით გაცემული აქვს მიწებიო. ამავე მიზეზის გამო ამისთანავე მდგომარეობაში არიან თურმე ლორდ დერბისა, პორტსმუტის და ლანდსდაუნის მამულებიცა. ამ მამულების გვერდით სხვა მამულებიც არის, მაგრამ ასეთს აოხრებულს და ვერანა ადგილებს წარმოადგენენ თურმე, ხალხი ისეთს სიღარიბეშია, რომ კაცს აკვირვებს და აოცებს. ეს იმისაგან არისო, ამბობს ლაველე, რომ ამ მამულების პატრონები უთაურნი არიან და მეტად ხარბნიო.

> „საცა კმაყოფილებას და შეძლებულობას ჰხედავთო, ეთქვა იქაურს მხლებელს ოკანერ მორისისათვის: იქ ულსტერის ჩვეულებით უჭირავთ მიწებიო და საცა სილატაკეა და სიღარიბე, იქ მაგის ნებას არ იძლევა მამულის პატრონიო.“

ყველგან, საცა კი მაგ წესით არის სახმარად აღებული მიწები, ყველგან ამ სიკეთეს ვხედავთო, ამბობს თავისით ლაველე.

> „ეს შენიშნულია არამც თუ მარტო ულსტერში, საცა შესაძლოა კაცმა ეს სიკეთე სხვა მიზეზსაც მიაწეროს, არამედ სხვა პროვინციებშიაცაო. მეტად სარწმუნო მაგალითს წარმოგვიდგენს ლორდ პორტსმუტის მამულიო, საცა ულსტერის ჩვეულება შეიტანა მამულის პატრონმა და ამას კარგი შედეგიც მოჰყვა. ასე რომ ეხლანდელი ლორდი, რომელიც სამაგალითო მემამულედ ითვლება, არამც თუ ეურჩა ამ ჩვეულებას, არამედ ხელიც შეუწყო. ბოლოს და ბოლოს მიწაც ძალიან გაკეთდა, მოლალენიც კმაყოფილნი არიან და შემოსავალიც ერთი-ორად მოემატა მიწის პატრონსა. ძნელია კაცმა წუნი დასდოს წესს, რომელიც ყველასათვის ესე სახეიროა.“

ესეთი წესი მეტად ჰშველის მიწათ-მოქმედების განკარგებასაო, ამბობს შემდეგ ლაველე, იმიტომ-რომ მოლალესათვის საიმედოდ ჰხდის მიწის ხმარებასაო, რადგანაც იგი დათხოვნილ ვერ იქნება მიწიდამ უიმისოდ, რომ მიწის პატრონმა არა უზღოს-რაო.

ამით ვათავებთ მეცნიერთა მოწმობას შესახებ იმისა თუ,—ეკონომიურს სფერაში რის მომასწავებელია იგი წესი მიწათ-ფლობელობისა, რომელსაც ჩვენში ხიზნობას ვეძახით.

ამის შემდეგ ვეცდებით განვიხილოთ ეს ხიზნობა იმ მხრით თუ,—რა ძარღვი უცემს ხიზნობას საზოგადოებურ მნიშვნელობისათვის და მეცნიერთა აზრით დასარჩენია იგი შემდეგისათვის, თუ ამოსაკვეთია?

---

*) პირველ ყოფილი საკუთრება, კარი XVII „მემკვიდრეობითი ჭერა მიწისა“.

*) აქ, როგორც უკვე ვიცით წინა წერილებიდამ, ხიზნობის მაგვარი წესია მიწათ-ფლობელობისა და აქ ამ წესს „ულსტერის ჩვეულებას“ ეძახიან.

ახალი ამბავი

⁂ სოფ. წევაში, როგორცა გვწერენ, ეკკლესია აარსებს თავის ხარჯზე ორ-კლასიან სამრევლო სკოლასაო. სკოლის ასაშენებლად ყოველგვარი მასალა მზადა აქვთ, მხოლოდ ქვა აკლდათ და სოფელსა სთხოვეს, რომ ქვა მოგვიტანეო. სოფელი ჯერ დათანხმდა, მაგრამ შემდეგ ვილაცას ჩაუგონებია გლეხებისათვის, არ მოიტანოთ, თორემ ბეგარად გადაგექცევათო და ყოველთვის მოგატანინებენ ხოლმეო. გლეხებსაც მართალი ჰგონებიათ და არა ნდომულობენ ქვის მოზიდვასაო. ამის გამო ამ ქამად მთელს სოფელში ერთი აყალმაყალია და არ ვიცით, რითი გათავდება ეს საქმეო.

⁂ ტფილისის მაზრიდგან გვატყობინებენ: 31 აგვისტოს სოფელ სართიჭალის ბოქოულის ჩაფარი ყარამანა სანაყოშვილი მოუკლავთ ავაზაკ თათრებსა. საღამოს შვიდ საათზე კახეთის მხრიდგან ამოიარა თურმე ოთხმა ცხენოსანმა შეიარაღებულმა თათარმა შუა სოფელზე. დაინახეს თუ არა თათრები ჩაფრებმა, გზა შეუკრეს და დაეკითხნენ: ვინა ხართო?—გაგვიშვით, თქვენ რა საქმე გაქვთ, ვინცა ვართო, უპასუხეს თურმე თათრებმა. ჩაფარს ერთის თათრის ცხენის ალვირისთვის წაუვლია ხელი და მეორეები კი გაქცეულან. დაჭერილს თათარს დაუძახნია ამხანაგებისთვის: „მიშველეთო!“ თათრები მობრუნებულან და თოფები დაუხლიათ ჩაფრებისათვის. საბრალო სანაყოშვილი იქვე წაქცეულა და მეორე ჩაფარსაც შიშით თავი დაუნებებია თათრის ცხენისთვის. ავაზაკები მულალნოსაკენ გაქცეულან. გზაზედ გამოსდგომიან იქაური ნემენცები და ქართველები მდევრად, დასწევიან და ავაზაკებს სროლა დაუწყიათ. ამ ავაზაკების საპოვნელად მაზრის უფროსს ფიცხელი განკარგულება გაუცია.

⁂ სახელოვანი ქინვანის ხიდი ძალიან გაფუჭებულია, ზევითა ფიცრები სულ დამპალა და ალაგ-ალაგ ისე ჩამტვრეულა, რომ ურემი და

ფელეტონი

გიგლია

თალხალი (დედა)

პურა შამე, ნუ სჩქარობ,
შვილო, სილაღევ, დედისა.
ჯერ ვეროთ გადაავლიეს,
კიდევ მაასწრობ მთებისა.

გიგლია (შვილი)

რას ამბობ, დედავ, ნეტარა
განა ქორწილში ვარაო...
ხმალი რა იქნა აქითა,
ან ჩემი თოფი ხარაო?
ალარსად სამკლავენი ჩნან,
აღარც ფარი და ჩაჩქანი...
ვინ რა-რა ფიქრობს გიგლიას
გაალებინოს ალმანი?*)

დედა

შენ არ მაუკვდე დედასა,
შენზედ არ დავჯდე მტირალი,
სხვა მე აქ არვინ მინახავ,
დილას-კი იყო მყვირალი.
აბჯარნიც თავისნი ჰქონდნენ,
თავის ლურჯაზედ იჯდაო;
ცხენზეით არ ჩამამხდარა
თამარს შენ ამბავ ჰკითხაო
და დაგიბარა, აჩქარდი,
წამო ახადის გზითაო,
მე სალეკოს ყელს შაუკრავ,
გიგლია საყორნისასო;
ეს ორი გზა აქვს ლეკებსა...
ჯავრსაც არ შავჭამთ მტრისასო.
თუ ისრე გადაავლევენ
ლეკნი გოდერძათ თინასო,
უთხროდი თოფი დაჰკროდეს
იმ დალისტანელს წინასო.

გიგლია

მართლა, ი ქალ-კუპრ რა იქნა,
იმის ონარი იქნება?

დედა

შენს საჩოხეს სძახს, სილაღევ,
და ცხარის ცრემლით იღვრება.

გიგლია

წადი გამიგე, დედაო,
შორი გზა მაქვის სავალი:
მათურის-თავი, ხოშარა,—
მთები მაქვ გადასავალი.

დედა (გადის თამართან)

ქალო, გიგლია კითხულობს,
აბჯართ, შენ დაუმალეო?

თამარი

მე. ნუ გაუშვებთ გიგლიას,
წუხელ ცუდ სიზმარ ენახეო.
ე მაგას მტერი მოგვიკლავს,
ცა თავზედ დაგვეხურება.

დედა

სირცხვილი არი კაცისად—
ქვეყანა დაიმდურება.
ანკი ისითა რა ჰნახე,
შენ ხო არა ხარ მისანი!

თამარი

მე ისი ენახე, დედაო,
სხივნ გამქრალიყვნენ მზისანი;
დალეწილები ეყარნენ
აბჯარნი ჩემის ძმისანი.
ჩვენ სახ-კარ ჩამოშლილიყო
იდგა ოხერი—ტიალი,
თავს დაჰბრუნავდნენ ყორნები,—
ჩხაოდენ, ედგათ გრიალი.
ვტიროდი, ვაჰმეს ვიძახდი,
თმანიც სუ ჩამომდიოდა.
ჩვენის გიგლიას ლურჯაი
ჰალაზე შამოჰხვიოდა.

დედა

რა გაიგება. ჩვენ მაინც
ვერ დავაბრუნებთ სიზმრითა,
მდევრად ათასჯერ ყოფილა,
ჩემო სილაღევ,—იმითა.
კაცს მიტომ კაცსა ვეძახით,
უნდა წელს ერტყას ხმალია.
მაშ რა უნდა ვქნათ, ხომ ჰხედავ,
ფშაველები მტერმა დალია?!
ახადი ლეკებს აუკლავ,
იქით წაუსხამ ტყვეები...
სუ სისხლით გადაუბასრავ
უკვენა ფშავის კლდეები.

(თამარი ადგება, გაალებს კიდობანს და ამოიღებს გიგლიას იარაღს. დედა და თამარი გამოვლენ გიგლიასთან. თამარი ტირილით მისცემს გიგლიას ხმალს, თოფს, ფარს, ჩაჩქანს და სხვა საომარს იარაღს; უნდა უთხრას რამე, მაგრამ ვერ ამბობს, გული ყელში ებჯინება. ამ დროს გიგლიასთან აჩქარებით მოვარდება მეზობლის ქალი.)

მეზობლის ქალი (გიგლიას)

შენს თვალთ ენაცვლოს შენი და,
შე ფშავის ხევის იმედო!
წადი დალისტნელთ აჩვენე,

---

*) ფშავლების ძველის სამართლის ძალით, ვისი იარაღითაც კაცი მოკვდებოდა, სისხლი იარაღის პატრონს უნდა ეზღო, თუნდ იარაღი სხვას ეხმარა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხარ-კამბეჩებიც ჩაცვივიან შიგ, არა თუ ცხენი და კაცი. ამ ხიდს გაკეთება უნდაო.

⁂ ფშავში მოსავალი კარგია თუ თოვლი არ მოვიდა ადრე და ქერები არ დაზრო მთაშიო.

⁂ ამ ბოლოს დროს ტფილისში ძალიან ბევრი ყალბი ფული დადის. ყალბი ფული უმეტესად თეთრი ფულია—აბაზიანები. ყალბი აბაზიანი ტყვიის ფერისაა და ყრუ ხმა აქვს.

⁂ 1 ივლისს ვიღაც ტფილისის მცხოვრებელი არლუთიანი სადღაც წასულა ნათესავებისაგან და ველარ უპოვნიათ, თუმცა შვიდი დღე უძებნიათ ძმებსა. ბოლოს სახლში უპოვნიათ თვით არლუთიანის წერილი. ამ წერილში არლუთიანი ურჩევს ნათესავთ: ტყუილად ნუ მეძებთ, ერთის თვის შემდეგ ყველას გეცოდინებათ, სადაცა ვარო. 26 ივლისს ერთი ნემეცი მოგზაური რატევნის ახლო ეკკლესიების ნანგრევების სანახავად წასულა და აი რა უნახავს: ახლად გათხრილს, ღია საფლავში ვიღაც კაცი წოლილა საბან გადახურული. გვამის ერთ მხარეს სამღვთო წიგნები ყოფილა დაწყობილი, მეორე მხარეს ყვავილები და თავთან დაკმეული საკმელი. სასაფლაოს გვერდზე გდებულა დიდი ქვა, რომელზედაც გარდაცვალებულის სურათი ყოფილა დახატული და ზედ წარწერილი: „მოველ აქა 1886 წ. 6 ივლისს და გარდავიცვალე 24 ივლისს.“ როგორცა სჩანს, არლუთიანი ტფილისიდგან მისულა ეკკლესიის ნანგრევებამდე, თვითონვე გაუთხრია თავისთვის საფლავი, მოუთრევია დიდი ლოდი, დაუხატავს ზედ თავისი სურათი და წაუწერია ზემოხსენებული სიტყვები. გაზეთ „მშაკის“ სიტყვით, არლუთიანი შიმშილით გარდაცვლილაო.

⁂ გაზ. „ნოვ. ობოზ.“ სწერენ გორიდამ: ქართლის ღვინოს, რომელიც საკმაოდ მდარეა კახეთისაზედ, აქამდე მარტო ადგილობრივ ახმარებდნენ და ეხლა კი ტფილისშიაც იყიდებაო. ტფილისის სირაჯები ქართლის ღვინოში უფრო ბევრს იგებენ, ვიდრე კახეთისაშიო. ბოთლი ქართლის ღვინოსი ადგილობრივ სირაჯს 5—6 კაპ. უჯდება; ტფილისში ამ ღვინოს აუკეთესებენ, განაკარგებენ ხოლმე და კახეთის ღვინოდ ჰყიდიან, აბაზად ბოთლსაო. კახეთში სამეფო გვარეულობის წევრთა მამულების უწყებამ დიდი მამულები შეიძინა. თქმა არ უნდა, რომ ამას მოჰყვება ტფილისიდამ კახეთამდე რკინის გზის გაყვანა და უმეტესს ნაწილს კახეთის ღვინოებისას რუსეთსა და ევროპაში გაჰზიდავენო. მაშინ ქართლის ღვინოს მოცილე აღარ ეყოლება ტფილისის ბაზარში და ფასშიაც აიწევსო. ზოგიერთნი გამჭრიახნი მამულთ-მეპატრონენი თითქოს ეხლავე მიხვდნენ ამას და დაიწყეს ვენახების გაშენება. საუბედუროდ, ქართლის მამულთ-მეპატრონეებს ერთი საჭირო ცოდნა აკლიათ, კარგად და რიგიანად არ იციან ვენახის შემუშავებაო. კავკასიაში რომ დაარსებინათ იმისთანა სასწავლებელი, სადაც ყმაწვილები ღვინის რიგიანად დაყენებისა და მოვლის ცოდნას შეიძენდნენ, დიდს სარგებლობას მოგვიტანდნენო.

⁂ ამავე გაზეთსა სწერენ სამტრედის რკინის-გზის სადგურიდამ: 25 აგვისტოს აქ შემდეგი უბედურება მოხდაო. როცა მესამედ დაჰკრეს ზარი და მატარებელი დაიძრა, ვიღაც დაგვიანებულმა მგზავრმა ხელი სტაცა ვაგონს ხელ-მოსაკიდზე, მაგრამ ისე ცუდად, რომ თავი ველარ შეიმაგრა და დაეცა პლატფორმასა და მიმავალ ვაგონებ შუაო. დაცემის დროს ცალი ფეხი ვაგონის თვალს ქვეშ მოჰყვა და თვალმა ფეხის ქუსლი მოაგდებინაო. საბრალო ტკივილით გამწარებული წამოხტა ფეხზედ, 20 ნაბიჯამდე გაირბინა და შემდეგ გასისხლიანებული დაეცაო. დაშავებულს სამკურნალო შემწეობა აღმოუჩინესო.

⁂ „Моск. Вѣдом“-ების ბათუმელი კორრესპონდენტი შემდეგს საინტერესო ამბავსა სწერს ამ გაზეთს: დამოჟნის მოხელეებმა, რომელნიც დაინიშნენ პორტო ფრანკოს გაუქმების შემდეგ, რათა ყველა უცხოეთიდგან შემოტანილს საქონელს ბეჭდები დაასვან, აღმოაჩინეს, რომ ბევრს დუქნებში უწყვიათ აგრეთვე რუსეთის საქონელიც, რომელსაც მოხერხებული ვაჭრები უცხოეთიდგან შემოტანილ საქონლის მაგიერად ასაღებდნენო.

⁂ ჯარის გამოყვანა საქართველოში და სრულიად კავკასიაში, ანუ სამხედრო ბეგარის დაწესება, დღეს უკვე გადაწყვეტილი საქმეა. პირველი გამოყვანა ჯარის კაცთა მერმისს იქმნება. ამ საგანზედ რუსული გაზეთი „С.-Петербургскія Вѣдомости“ ასე ლაპარაკობს: სიმართლით რომ ვსთქვათ, საქართველოს ერი და სრულიად იმიერ-კავკასიის მკვიდრნი არამც თუ არას დროს არ ერიდებოდნენ სამსახურს რუსეთის ჯარშიო, არამედ მას აქეთ რაც რუსეთი კავკასიაში დამკვიდრდა, თავიც-კი მოსწონდათ, რომ ამ ჯარში მსახურობდნენო. კავკასიის შვილნი თავის ნებით ტვირთულობდნენ ყველა იმ საომარ შრომასა და ჯაფასა, რასაც ეწეოდნენ ჩვენის ჯარის კაცნიო. ასე იქცეოდნენ ყველანი, აფიცრები იყვნენ, სალდათები, თუ სარდალნი. ტყუილად არ მოსწონს თავი ჩვენს გმირულს კავკასიის ლაშკარს და მოჰკვეხს, რა ქველობა გაუწევია, რა მამაცობა და ვაჟკაცობა გამოუჩენიაო. ეს არის მიზეზი, რომ ახლა სრულიად აღარ არჩევენ კავკასიის შვილს წმინდა რუსისაგანაო, და მართლაც, რამდენი სახელოვანი და ძლევა-მოსილი გამარჯვება დარჩენია ამ ჯარს ქველის კავკასიის მკვიდრთა წინამძღოლობითაო, თუმცა მათ ძარღვებში რუსის სისხლი კი არა მდგარაო.

ჯერ მარტო ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ ჯარის გამოყვანის შემოღება საქართველოსა და ამიერ-კავკასიაში არ არის უდროვო და მოულოდნელი რამ საქმეო. რასაც ამას იქით მოვალეობით გააკეთებენ კავკასიის მკვიდრნი, იმას წინად თავის ნებით აკეთებდნენო.

⁂ გაზ. „მწყემსს“ ვიღაც დ. სალაძე შემდეგს ამბავსა სწერს: რაჭის მაზრის ს. აბარის საზოგადოებაში მე ვიყავი სოფლის მასწავლებლად. ზემოხსენებული საზოგადოება დაბა ონიდამ დასავლეთით არის. ამ საზოგადოების ერთ სოფლის ურვას მახლობლად არის ერთი მთა, რომელსაც **საჯიხვე მთას** ეძახიან. ამ მთიდამ ჩრდილოეთით არის ერთი დიდი დაბურული ტყე, რომელშიაც გადის გზა და მიდის ონში. ამ გზის ერთ დავაკებულ ალაგას, რომელსაც გარშემო მუხის დიდი ხეები აქვს შემომწკრივებული, არის ერთი სასაფლაო. ამ სასაფლაოზედ არის დასობილი რკინის ერთი ისარი. ამ ისარზედ არის ჩამოკიდებული რკინის შვილდი. ისარის ზედა თავი არის გახვრეტილი. ეს ისარი და შვილდი ისეთი დიდები არიან, რომ მე და ჩემს თანამოგზაურს გაგვიჭირდა თვითეულად მათი დაძვრა ადგილიდამ. ჩემის ფიქრით, ეს შვილდ-ისარი სიმძიმით უნდა გამოვიდეს ექვსი ფუთი მაინც. ისარი სიგრძით იქნება ორი არშინი და სისქით ერთი გოჯი: შვილდი კი სამი ადლია. ეს ძველი ნაშთები აქამომდე შეუნიშნავი უნდა იყოს ცნობის მოყვარე კაცისაგან და ამიტომაც მათზე აქამომდე ყურადღება არავის მიუქცევია. ამ სოფლის მოხუცებულ კაცებს გამოვკითხე ამ ნივთებზე, მეგონა მათ რამე ეცოდინებოდათ, მაგრამ მათ ჩემსავით არაფერი არ იცოდნენ ამ ნაშთების შესახებ.

ნაკვესი

თ. შანშე ერისთავის ეზოში პირუტყვი საქონელი მოერეკათ. ერთმა ვიღაც ფიცხელაურმა წაიდუდუნა:

— ნეტაი ისეთი პატრონი მყვანდეს, ეს სულ მიწყალობოსო.

— რაო? ჰკითხა შანშემ.

— არაფერი, ბატონო.

— მაინც?

— მოგახსენებდი: ნეტაი ისეთი პატრონი მომცა, სულ ყველა ეს მე მიწყალობოს მეთქი.

— ფეშქეშ! ბრძანა თავ-მოწონებულმა დიდ-კაცმა. თქმა და ქმნა ერთი იყო.

ლელო

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

სოფ. ჩხერი (შორაპნის მაზრა). წლევანდელს წელს ვენახებმა ძალიან გვიმტყუნეს. ყვავილობის დროს დიდს იმედს იძლეოდა და ღვინის დიდ მოსავალსაც მოველოდით, მაგრამ მოლოდინმა ტყუილად ჩაგვიარა. ჯერ მომეტებულმა სიგრილემ და მერე ნამეტანმა სიცხეებმა ვენახები ისე წაახდინეს, რომ წინანდელ მოსავლების შედარებით მესამედსაც ველარ აიღებენ არამც თუ მარტო ჩვენს სოფელში, არამედ თითქმის მთელ ჩვენის მაზრის შუაგულ სოფლებშიაც. მომავალ წელში ძრიელ ღვინის სიძვირეს უნდა ველოდეთ.

სიმინდებიც თუმცა ძრიელ შეაწუხა ნამეტანმა საცხეებმა და ქარებმა, მაგრამ ამ ბოლოს დროს კარგმა წვიმებმა მოაბრუნა ისევ ყანები და პირნახულის კარგის მოსავლის იმედი მოგვცა.

ჩვენი სოფელი, როგორც წინედაც ბევრჯერ ყოფილა თქმული, მოკლებულია კარგს სასოფლო გზებს. ამ საქმეს ჩვენის საზოგადოების მამასახლისმა პირველ დაყენებისათანავე გულმოდგინედ მიჰყო ხელი, მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ ბოლოს და ბოლოს თან-და-თან უსუსტა და ის ჩვენი ძველი ქართული ანდაზა, რომელიც ამბობს: «ახალი ცოცხი კარგად ჰგვის, ძველი მოატანს ქვიშასაო» თითქმის ამაზედ გამართლდეს. ჩვენის ხიდის საქმეც, რომელზედაც არა ერთხელ წერებულა გაზეთში, ცუდად მიდის. იმ ადგილზედ, სადაც ამას წინედ ეს ხიდი ჩაიმტვრა და ორი კაციც დააზიანა, კიდევ ახალი ხიდი გადვეს, მაგრამ საფრთხილო კი არის სწორედ გამვლელისათვის, რომ კიდევ არ ჩატყდეს. არ იქნება ურიგო, საზოგადოება და მთავრობაც დაუჩქარებდეს ამ წყალზედ კარგის ხიდის გაკეთებას და მით გამოიხსნიდნენ ყველა გამვლელს ამ გვარის საშიშროებისაგან.

ამ სოფლის მახლობლად სამის ვერსის სიშორეზედ მდებარეობს სოფელი „თეთრა წყარო“. ამ სოფელში, აზნაურ წულუკიძეების მამულში არის ერთი გამოქვაბული კლდე, რომელსაც სიგძე ნახევარ ვერსის ოდენი ექმნება, სიმაღლე ხუთ საჟენამდე და სიგანე ათ საჟენზედ ცოტა მეტი. ეს კლდე ძალიან გვაგონებს იმ კლდეს, რომელიც უკვდავ შოთა რუსთაველსა აქვს აწერილი „ვეფხვის-ტყაოსანში“, სადაც ვეფხვის-ტყაოსნის ორმა გმირმა, ავთანდილმა და ტარიელმა ერთმანერთი ნახეს. კლდის წინ იგივე შამბნარია, ტყე და პატარა ხევი, როგორც ვეფხვის-ტყაოსანშია ნათქვამი. გამოქვაბულ კლდეს მცხოვრებლები უწოდებენ «დევის სადგურსა». ეს კლდე მე თითონ ვნახე ამ ცოტა ხანში და სწორედ შესანიშნავია თავის მოყვანილობით და ღირ-

---

როგორს ყმებსა ჰზრდის ჩარგალი*),
სვავებს დაუგდე სადილად
იმ ძაღთი ძაღლი სარდალი.
შამასწერას ლაშარის ჯვარმა
მოხვიდე გამარჯვებული,
გეკიდოს მტრისა ხელები
მხარ იღლივ გადაგდებული.
ჰა გიდი, გოდერძათ ქალო,
ლეკთა სატყვეოდ გაჰხეო,
მეშველად მოგივა გიგლია—
ფშავის არწივი ნახეო.
არწივმა მხარნი დაშალნეს,
დაპრპიალებდეს ფრანგული.
მთა-კლდეთაც გააკვირვებენ
მაგის ლეკისად დაკრული!!

(მეზობლის ქალი ჩამოართმევს გიგლიას ცხენს და შორს გაჰყვება, გააცილებს. დედა და და გიგლიას უკან მისდევენ. თამარი სტირის. დედა გზას დაულოცავს:)

დედა

ფშაველთ სალოცავმ შამასწერას
შენს შინ მშვიდობით მოსვლასა,
ხერხით მაიქე მტერთანა,
ნუ გასწევ ჯიუტობასა.
მშვიდობით! წადი, ჯვარი გეწეროს!

II

არაგვის პირ-პირ აჩქამებს
გიგლიას ცხენი ნალებსა,
აქა-იქ აელებს ლომივით
იმ ცეცხლ-მოდებულს თვალებსა.
გახდა გიგლია ხომურას**)
საწყინარ ეტყვის მხარია.
ცუდს ლიშანს არას დაგიდევს,
ამობუბუნდა კარია:
„წადი გენაცვლე, ლურჯაო,
ძალა მაიეც მუხლშია,
ნათელი ჩამაყენე
გაბოროტებულს გულშია.
აგერ ტირიან ტყვეები,
ელიან ჩვენსა მისვლასა,
მალ-მალე გამაჰხედნებენ
ყელსა ახადის მთისასა;
ამბობენ, სუ როგორ გასწყდა
ფშაველებში ქუდოსანიო,
სალეკოდ როგორ გაგვხადეს
ლაშარის-ჯვარის ყმანიო!“

III

ახადს ტიროდა თმიანი
თინიბექაის რძალიო:
„ვაჰმე, ჩვენო სახ-კარო,
ვაჰმე დამიდგეს თვალიო.
ვაჰმე, ჩვენო ციხეო
ნაგებო ქვით-კირისაო,
ჩამოშლილ-ჩამონგრეულო,
გადათელილო მტრისაო.
მამამთილს თოფი დამიკრეს,
დედამთილს ძუძუ მოსჭრესო.
თინიბექაანთ ბიჭები
სუ ლუკმა-ლუკმა ასჭრესო.“
მზე გორის პირას დაჰკრეოდა,
ელამებოდა ჩასვლასა,
გალმა-გამოღმა გრილები
ტყეს და მთებს უდგმენ ტაბლასა.
უკვენა-ფშავის ქედები
დაწყობილიყვნენ ჯარადა,
ამ დროს შამოჩნდა ქალაზედ
გიგლია მომსხო ტანადა.
ირევა მაღლით და ძირით
მაგრილობელი ნიავი,
მიიბძვის მხედრის ლურჯაი
მიიბძვის, მიაქვ თქრიალი:
სუ თან მიაქვის ფეხითა
ტყე-მთა, ნათოსი*) ტიალი;
არ აბედენებს**) კლდე-ღაკეს,
არსად სჭირდება ტრიალი.
ოფლს დახეთქილსა მკერდზეით
ქვიშაზედ ჩააქვ ჩხრიალი,
უხდება გაირმებულსა
რახტის, უზანგის ძგრიალი.

IV

ბინდდება. აგერ გრილებიც
ასცდენ მთებს, გაქრენ ცაშია,
გიგლიაც გაჩნდა სოფლის თავს
გადაემართა მთაშია.
ქალმა დაიწყო ძახილი
ი რო ტიროდა კარშია:
„დაო, გეყოფა ტირილი
პირ დაიბანე, შვენაო***),
კმარა ამდენი ცრემლის ღვრა,
კმარა ამდენი წყენაო!
გიგლიამ შამაიარა
შუქი მისდევდა კვალადა,
ავი შენს დამწყევს მიეცეს,—
ეგ მტერს დაჰხვდება ავადა.
ერთს არ გაუშვებს ცოცხალსა
და არ მოკვდება თავადა;
მწედა ჰყავ ლაშარის ჯვარი
და ეყოლება კვლავადა.
სუ გაჰსწყვეტს ურჯულოებსა,
მათ სისხლს დაჰმართებს ზარადა
ყინჩად სამ იცის ტრიალი
ომში ჯარად და ტარადა“!..

ვაჟა-ფშაველა

(დასასრული იქნება)

---

*) სოფელია.

**) მდინარეა.

*) წყლისაგან გამორიყული ხე.

**) არ არჩევს.

***) სახელია ქალისა,

სია ჩვენის არხეოლოგების ყურადღებისა.

ს. ჩხერელი

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

დიდ-მნიშვნელოვანი და ღირს-შესანიშნავი დროა ეხლანდელი დრო. რამდენმა საყურადღებო და მოულოდნელმა ამბავმა გაიარა ჩვენ თვალ-წინ. ევროპიის ცხოვრება ახალ გზას დაადგა, ევროპა დიდს სიცოცხლეს, მოქმედებას იჩენს და ეს მოქმედება უთუოდ კვალს დასტოვებს.

გაზეთი „Русскія Вѣдомости“ თვალს ავლებს წლევანდელს წელს და ამბობს:

> წლევანდელი წელი თვალ-შესამჩნევ ადგილს დაიჭერს ევროპიის ისტორიაშიო.

ავიღოთ ჯერ ინგლისიო, ამბობს გაზეთი:

> ინგლისში უდიდებულესმა სახელმწიფო კაცმა აწინდელ დროებისამ სცადა მოეხდინა ისეთი პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცვლილება, რომელიც ძირეულად არყევდა აწინდელ საზოგადოებრივ წყობილებასა. საზოგადოება შეუშინდა დღეს ამ ძირეულ ცვლილებას; საზოგადოებამ ისე შეჰხედა ამ ამბავს, როგორც დიდს ამბოხებასა და ამიტომ ვერ შეიწყნარა, თუმცა ეს ცვლილება კანონიერის გზით უნდა მომხდარიყო. თუმცა ამისთანა ძლიერმა კაცმა, როგორც გლადსტონია, თავი ვერ გაიტანა ჯერჯერობით, მაგრამ ყველა დარწმუნებულია, რომ დღეს თუ არა ხვალ გლადსტონის აზრი განხორციელდება.

ჯერ ამ აზრით აღელვებული საზოგადოება ევროპიისა არ დამშვიდებულიყოვო, ამბობს გაზეთი,

> რომ ხელ-მეორედ ასტყდა დროებით მიყრუებული, მიჩუმებული ლაპარაკი ბალკანიის ნახევარ კუნძულზე, კვლავ წარმოსდგა ევროპიის წინაშე გაუთავებელი, მშვიდობიანობის შემარყეველი „აღმოსავლეთის საქმე“.

აქ გაზეთი დაწვრილებით მოგვითხრობს ბოლგარიის არეულობის ამბავსა და ამბობს, რომ მხოლოდ პირუთვნელი ისტორია ოდესმე, შემდეგში, წარმოსთქვამს თავის გარდაუწყვეტილს სჯასა ბოლგარიის მთავარზე და მის საქციელზეო.

> დღეს კი ბოლგარიის ერს ასეთი გაჭირება დაატყდა თავსაო, განაგრძობს გაზეთი, რომ ასე თუ ისე უნდა ეცადოს რითიმე გადასწყვიტოს საქმე და თავისთავს უშველოსო.

ჩქარა მოეღება ბოლო ამდენ ვაებასა და წვალებას ამ მრავალ-ტანჯულ ბოლგარიის ერისას?—კითხულობს გაზეთი.

> ვგონებთ არაო, პასუხს იძლევა თვითონ გაზეთივე: ბალკანის ნახევარ კუნძულზე საქმე ისე ვერ გათავდება...

უცხოეთი

ბოლგარია. ხელ-მეორედ ბოლგარიიდამ წასვლამდე ალექსანდრე მთავარი განუწყვეტელის მოუსვენრობის გამო უქეიფოდ შეიქნაო. მთავარს ძილი დაეკარგა და გული უჩქროლავდა. ექიმების რჩევით, მან გადასწყვიტა, რაც შეიძლება მალე წავიდეს ბოლგარიიდამაო. თუმცა აქამდე განზრახვა ჰქონდა ეპატიებინა დანაშაული შემთქმელთათვის, მაგრამ ახლა თავი დაანება ამ განზრახვასაო. იმის ფიქრით, ქვეყანა და ჯარი დაიღუპება, თუ არეულობის მეთაურნი დაუსჯელნი დარჩნენო. მაინც ეს საგანი იმან გადასწყვიტოს, ვინც ჩემს შემდეგ იქნება მთავრადაო.

— როცა მთავარი ალექსანდრე ხელ-მეორედ წასვლას აპირობდა ბოლგარიიდამ, ბარგიც უკვე გასტუმრებული ჰქონდა, ამ დროს მოვიდა დეპეშა ხონთქარისა. ხონთქარი ჰკითხულობდა, მთავარი ხომ ავად არ არისო.

— ინგლისის ფლოტი, რომელიც ედინბურგის ჰერცოგის განკარგულებაშია, ამ ჟამად ეგეის ზღვაში იმყოფებაო.

— ერთს პეშტის გაზეთს სწერენ დეპეშით სოფიიდამ: როცა მთავარმა მიიღო აფიცრები სახელმწიფოების წარმომადგენელთა თანა-დასწრებით, მთავარი გადაეხვია და აკოცა მუტკუროვსა და პოპოვსაო და შეწუხებულის ხმით შემდეგი სიტყვა წარმოსთქვაო: „გმადლობთ, ბატონებო, ერთგულებისათვის. თქვენმა სიყვარულმა და თავის დადებამ მომათმინა და არ მიმცა დიდს დარდსა. ხელმწიფე იმპერატორის დეპეშის შემდეგ მე აღარ მედგომება აქ. ჩემი აქ ყოფნა შეაფერხებს სამშობლოს წარმატებას და ამიტომ მზადა ვარ ჩემი თავი გავსწირო მის კეთილ-დღეობისათვისაო.“ თვალთ-ცრემლი მოსდიოდა თურმე ალექსანდრე მთავარს, როცა ამას ამბობდა. აფიცრებზედ ამ ამბავმა ძალიან იმოქმედაო. როცა მთავარმა გაათავა ლაპარაკი, პოპოვმა უთხრაო: „ჩვენის ქვეყნის ფარი და ხმალი შენა ხარ, უშენოდ სამშობლო დაუმოკიდებელი ვერ იქნებაო.“ ამაზე მთავარმა უპასუხა: „მე უჯაროდ არაფერი არ შემიძლიანო.“

ოსმალეთი. სტამბოლს მისულა ჰამბურგის გემი «მეხიო» და მოუტანია ოსმალეთის-მიერ კრუპის ქარხნისთვის შეკვეთილი ზარბაზნები, რიცხვით 91 ცალიო.

— ორს არმიის კორპუსს მაკედონისას ებრძანა, სალონიკენ გაემართენითო.

— გაზეთები ამბობენ, ვითომ ალექსანდრე მთავარს ეთქვას ბოლგარიის აფიცერთათვის: თუ თქვენ მაკედონიის დასაპყრობად წახვალთ, მე ჯარის კაცად ჩავეწერები თქვენს ჯარშიო. ეს ამბავი დასაჯერებელი არ არისო, ამბობს გაზეთი „Nord. Alg. Zeit.“-ი: ალექსანდრე მთავარი ასე პირ-და-პირ ვერ ურჩევდა ქვეყანას, წადით და ოსმალეთს წაართვით მაკედონიაო, მით უფრო, რომ მთავარი ალექსანდრე განსაკუთრებულს დამოკიდებულებაში იყო ოსმალეთსა და ავსტრია-ვენგრიასთანაო.

ბიბლიოგრაფია

ალავერდის სობოროს ხელთ ნაწერი სახარება.*)

ეს სახარება უნდა ეკუთვნოდეს მეათე საუკუნეს. ამ ოთხთავ სახარების პირველს ფურცელზედ აწერია:

„ვინაიდგან ღმერთი მოწყალე არს და კაცთ მოყვარე და არა მოაელენს ცოდვათათვის ღლითი დღე რისხვათა, ამისათვის რომელ მოელის მოქცევასა თვისთა დაბადებულთასა, უკეთუ მოიელინოს რისხვა ზეგარდამო, ვინღა დაუთმოს, ანუ რა მოიგონოს განრინებად, თუ შური იძიოს ღმერთმან. აქ მოსრვა, სირცხვილი და ყვედრება, ხოლო მუნ საუკუნო დაუსრულებელი წარწყმედა, ტირილი და ღრჭენა კბილთა სხვათა სასტიკთა სატანჯველთა თანა, ხოლო უკეთუ ვინ მოიგოს შემწედ თვისად პატიოსანი ესე და მახარებელი ხსნისა და ცხოვნებისა და მოძღვარი ყოვლისა სოფლისა სახარება, პირი-ღვთისა, შინაგან გულსა თვისსა, მას არა ხოლო ყვედრება და სირცხვილი, არამედ ვითარცა სანთელი, ელვითა განანათლოს მორჩილნი თვისნი, ხოლო დიდსა მას დღესა განკითხვისასა ჰპოვოს სიხარული წარუვალი და მკვიდრობა წმინდათა თანა. გარნა მე არცა ერთისა კეთილისა მოქმედი და ცოდვითა ალტვირთული, მწარედ დასჯილი და ყოვლად საწყალობელი, უნდო, უდები და ნაშვთა ყოველთა უნარჩევესი ესე, სახითა ოდენ მონაზონი, ხოლო საქმით მჩემებელი მღუდელობისა, წინამძღვარი ზებედე, ღირს ვიქმენ მოგებად ყოვლად სამკაულისა ამის ეკკლესიისა მას ჟამსა, ოდეს მოაოხრა ულმრთომან და მტერმან ქრისტესმან შაჰ-აბაზ ქართლი, მეფის სიმონის სახლი და მეფე ლუარსაბ და დედოფალი, დედა მათი, პატრონი, თამარ ტყვეობასა შინა აღასრულა. სალარიბო ომფორი და დიდი განძი მცხეთისა და წმინდანი სამკაულნი კათოლიკე ეკკლესიისანი შეურაცხ-ჰყო, ამასვე შინა ცხოვრებასა მოაოხრა კახეთი და აღასრულა წამებითა მეფეთა ნათლისა ქრისტეს მოსავისა, მომთმინისა და პირველთა ლუთის მოყვარეთა მეფეთა მობაძავისა თაიმურაზის დედაჲ, მეფეთა ასული დიდი მოწამე ქრისტესი, დედოფალი წმიდა, პატრონი ქეთევან. ვითარ აღვსწერნე სატანჯველნი მისნი, სიმრავლე იქმნების წერილთა. ათხუთმეტ წელ ტყვეობა, მოკვეთა ასოთა, ქუაბისა მფოფინარისა დარქმა, სატურფალთა და ხელმწიფურისა შვენიერისა თავისა მისისა და მერმე დაწვა სრულიად და ავლად მიყრა ქარისა, სანატრელთა დამწვართა ასოთა მისთაჲ, ნეტარ არს და უსანატრელეს პირველთასა, რამეთუ მაშინ ადგილ-ადგილ იქმნებოდა ესე ვითარნი წამება ფრიადი და ურიცხვი, ხოლო აწ რჯული მოუძლურდა და წერილნი სრულ იქმნეს და ძლით სადალამე იქმნებიან ესე ვითარნი. მას ჟამსავე ოდეს გალაშქრა მეფის თეიმურაზის საშველად, ძმან კურთხეულისა დადიანის მანუჩარისამან, ნაშობმან მეფეთა მზისა კახეთ ხელმწიფისა კურთხეულის პატრონის—ასულისა დედოფლის ნესტან დარეჯანისამან, დადიანმან პატრონმან ლეონ და ბიძამან მისმან ლიპარტიანმან ბატონმა გიორგი, რამეთუ საფლავისა მათისა წინამძღვარი ვიყავი. მივედით გეგუთს, იმერეთს მეფეთ-მეფობასა გიორგისსა, მუნ მოიღეს კაცთა სარწმუნოთა და ვიყიდე ჩემის ჰალალითა თეთრითა და განვამზადე სადა იგი დამარხვად ვარ. და ვინცა გამოახვათ საძვალესა ჩვენსა, ჩვენთამცა ცოდვათა მზღვეველი იქმნების წინაშე ღვთისა. აწ გვევედრებით წმინდანო მამანო ღმერთშემოსილნო და სულიერნო ძმანო და ყოველნო ქრისტიანენო, მოვიდრეკ ცოდვილთა მუხლთა და გევედრები თვალითა სულისათა და შეგივრდები ვითარცა მანდა მყოფი, რაოდენნიცა მიემთხვიენეთ წმიდასა ამას წიგნსა, წმიდა ლოცვა თქვენი გარდამოავლინოთ და ევედროთ ჩემთვის მოწყალესა ღმერთსა და სიძისა ჩემისა კაკაჲსათვის, რათა არა დავისაჯოთ, რამეთუ ბოროტ არიან საქმენი ჩემნი, შებღალულ ცხოვრება ჩემი და შეგინებულ ყოვლითურთ, და თქვენცა მოგმადლოს ღმერთმან სასყიდელი შრომათა თქვენთა ამინ და კირიელეისონ. წინამძღვარს ულირსს ზებედეს და კაკას და მამა დედათა, ძმათა, დათა, თვისთა და ნათესავთა ჩვენთა ყოველთავე შეუნდოს ღმერთმან და ვინც შენდობა გვიბრძანოთ, თქვენცა შეგიწყალნეს. მროველ მთავარ ეპისკოპოსსა დიონოსს ღმერთმან შეუნდოს. ტყუპობასა შინა აღასრულებულსა დედოფალსა ლიპარტიანის ასულს თამარს ღმერთმან შეუნდოს. დასა მისსა ხუარაშანს ღმერთმან შეუნდოს. მღუდელ მონაზონს სილივესტროს ღმერთმან შეუნდოს. დედოფალს გურიელის ასულს ელისაბედს ღმერთმან შეუნდოს. ძესა მათსა ბატონის შვილსა ღმერთმან შეუნდოს. აბაშიძეს ჯამასპის ღმერთმან შეუნდოს.

ამის შემდეგ სხვა ფურცელზედ აწერია ხუცურად:

„მე გლახაკმან და ულირსმან და სულითა საწყალობელმან გიორგიმ მოვიგე წიგნი ესე სახარება დიდითი გულ მოდგინებითა, მრავალთაგან განსყიდული იყო მიერითგან, ოდეს მის საყდრისად გამოხვებულიყო ოდეს მე ვიყიდე და შევსწირე უდაბნოსა ხანცთისასა, საყოფელსა წმიდის მოწამის გიორგისსა სახსრად საწყალობელისა სულისა ჩემისა და სალოცველად მშობელთა ჩემთა იოანეს და მიქელასათვის და ძმისა ჩემისა ზოსიმესათვის, ღმერთმან გარწმუნოს, ლოცვა ჰყავთ ვინც იმსახურებოდეთ. მოწამე არის ჩემდა ღმერთი, მე ამათ წყევათა ქვეშე არა ვარ, რომელ აქა შინა სწერიან. სხვათაგან მიმძლავრებული, მე ჰალალითა ფასითა მიყიდია, ვინც ამას საყდარსა გამოახვას, ღმერთსა და წმიდასა მისსა მოწამესა მან გასცეს სიტყვა დიდსა მას დღესა სასჯელისასა“

შემდეგ თექვსმეტ გვერდზედ აქვს სხვა-და-სხვა ფერის მხატვრობით სვეტები, ცა დაქნილ გამოყვანილები და ჩაწერილი არის კანონები მახარებელთა.

მერმე ვარაყით არის გამოყვანილი ჯვარი, ზედ აწერია რუსულს, ქართულს და ბერძნულ ენაზედ:

«იესო ქრ. ძლე—ვაჲ.»

ჯვარის ბოლოს აწერია ხუცურად: იესო ქრისტე შეიწყალე სოლომონ მღუდელი».

მღვდელი მ. ხელაევი

(შემდეგი იქნება)

დეპეშა

2 სექტემბერს

სოფია. იმედი აქვთ, რომ ოფიციალურად შეიწყნარებენ დიდნი სახელმწიფონი ბოლგარიაში დაწესებულს რეგენტობასაო; ამბობენ, ვითომ ზოგიერთის დიდის სახელმწიფოს დიპლომატებურს აგენტებს უკვე მიეწერათ, ამ საგანზედ შესაბამი მოხსენება შეიტანეთ ბოლგარიის გარეშე საქმეთა სამინისტროშიო.

ვენა. „Neue Freie Presse“-ს დეპეშითა სწერენ, რომ საერო კრებამ თავს-მჯდომარის ამხანაგად ტანჩევი აირჩიაო. ალექსანდრე პრინცის სურათს, რომელიც კრების დარბაზში ჰკიდია, ტილო ექმნება ჩამოფარებული, ვიდრე რეგენტობა გათავდებაო. კრებამ აირჩია ორი კამისია: ერთმა უნდა შეადგინოს პასუხი სიტყვისა, ხოლო მეორემ ადრესი რუსეთის ხელმწიფე იმპერატორის სახელობაზეო. კრება, იქნება, ხუთშაბათს, 4 სექტემბერს გათავდესო. სხვა-და-სხვა კანონ-პროექტთა შორის, კრებას წარედგინა კანონ-პროექტი იმის თაობაზედაც, რომ გადაიდოს ფული ალექსანდრე პრინცის იმ კერძო საკუთრების შესაძენად, რაც მას ბოლგარიაში დარჩაო. თუ ამ წელს აღარ იქმნება მოწოდებული ჩვეულებრივი საერო კრება, მერმისისათვის ბიუჯეტი წრევანდელის ხარჯთ-აღრიცხვის მიხედვით დამტკიცდებაო. დიდი საერო კრება შესდგება ოთხიოდე კვირის შემდეგ ან სოფიასა, ან ფილიპოპოლსა და ან ტირნოვოშიო.

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპვ (1886) წელიწადია.
ქვეყნის შექმნიდამ **7394**.
ძველი ინდიქტიონი მე-14,
ამისი ქორონიკონი—უჱო=478 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.
ახალი ინდიქტიონი მე-4,
ამისი ქორონიკონი—მბ=42 წელიწადია; დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.
1886 წლის ზედ-ნადები—3.

სექტემბერი 30 დღით არის

4 დღე ხუთშაბათი. მოწ. ბაბილასი და მოსე წინ.-მეტყ. კათოლ. წმ. ქალწ. როზალია პანორმატანიისა. სომეხ. წმ. იოანე წინა-მორბედისა. მუსულ. ეიდი-გადრი-ხუმ. წინ.-მეტყ. მაჰმადი თავის მემკვიდრედ ელისა ჰნიშნავს (შიიტებს) გენერალ-ლეიტენანტი თავადი პავლე დიმიტრის-ძე ციციანოვი დაინიშნა მთავარ-მართებლად კავკასიაში კნორრინგის ადგილას, 1802 წ. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—54—46. ტფილისში მზე ამოდის 5—41, ჩადის 6—8; მთვარე ამოდის 8—1, ჩადის 8—0.

5 დღე პარასკევი. წინ.-მეტყ. ზაქარიასი და წმ. ელისაბედისა, ქალწ.-მოწ. რაისასი. კათოლ. წმ. მოწ. ეპისკ. ლავრენტისა. სომეხ. მარხვაა. ერეკლემ დაქირავებულის ჯარით სრულიად დაამარცხა აჯი-ჩელების შვილი, 1752 წ. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—54—25. ტფილისში მზე ამოდის 5—42, ჩადის 6—7; მთვარე ამოდის 8—30, ჩადის 9—50.

6 დღე შაბათი. მთავარ-ანგელოზ მიქაელისა. კათოლ. წმ. ქალწ. როზა ვიტერბუნსკისა. სომეხ. ნიკიის წმ. კრების 318 მამა მთავართა. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—54—4. ტფილისში მზე ამოდის 5—43, ჩადის 6—5; მთვარე ამოდის 9—9, ჩადის 9—57.

7 დღე კვირა. მოწ. სოზონტისა. კათოლ. მე-8 დღე წმ. მფარველთა ანგელოზთა დღესასწაულისა. სომეხ. ალების ღამე სურბ ხაჩისა. ნახატონაქი. ჭეშმარიტი შუა-

---

*) იხილე 1885 წ. მწყემსის მე-4 №.

დღე 11—53—43. ტფილისში მზე ამოდის 5—44, ჩადის 6—3; მთვარე ამოდის 9—42, ჩადის 10—54.

8 **ორშაბათი.** შობა ყოვლად წმინ. ღვთის მშობლისა. კათოლ. შობა ყოვ. წმ. ღვთის-მშობ. მარიამისა. სომეხ. შობა ღვთის-მშობლისა. 1 დღე ამაღლების მარხვისა. ტფილისში მოხდა V არხეოლოგიური კრება, 1881 წ. თავადი ციციანოვი დაინიშნა მთელის საქართველოს მთავარ მართებლად, 1802 წ. ტფილისში გაიმართა პირველი საქალებო პროგიმნაზია, 1873 წ. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—53—21. ტფილისში მზე ამოდის 5—45, ჩადის 6—1; მთვარე ამოდის 10—39, ჩადის 11—55.

9 **დღე ხამშაბათი.** წმ. მშობელთა წმ. ღვთის-მშობლისა იოაკიმ და ანნასი. კათოლ. ღვთის-მსახურება ყოვლად წმ. ქალწულის დაბადებაზედ. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—53—0. ტფილისში მზე ამოდის 5—40, ჩადის 6—0; მთვარე ამოდის 11—34, ჩადის 12—52.

გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

2 ივლისიდამ 1-ლ აგვისტოდამ.

თეთრი პური რუსული 1 გრ.	5 კაპ.
წითელი პური 1-ის ხარისხისა .	2½
› › 2 ›	2 ›
თონის წითელი პური 1-ის ხარის.	4½ ›
› › 2—	3 ›
› › 3 ›	2½ ›
ჯვარის მამის პურის ლავაში	
1-ლის ხარისხისა . .	4½ ›
მე-2 ხარისხისა . .	3½ ›
მე-3 — . . .	3 ›
ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა.	7 ›
‹ › 2	6 ›
სუკი	12 ›
ცხვრის ხორცი . . .	6 ›

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ:

ბათუმიდამ გადის: ოთხშაბათობით 4 ს. ნაშუადღ. მოკლე გზით, რადგან მარტო ნოვოროსიისკს და კერჩში შეივლის შორის გზით. შაბათობით 8 საათ. საღამოზე (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამეს შორის გზით, მოკლეს გზით—დილით.

შაბათობით სტამბოლიდამ მოდის დილით.

შაბათობით სტამბოლიდამ მოდის დილით.

განცხადებანი

ტფილისის საქალაქო გამგეობა ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ დღეიდამ გამგეობის სადგომში ყოველ-დღე დილის 9 საათიდამ ნაშუადღევის 2 საათამდე შეიძლება ჰნახოს ყველამ სიები ქალაქის ამომრჩეველთა ოთხის წლის ვადითა 1887—1890 წლამდე. ვინც უკანონოდ არის ჩაწერილი, ან სრულიად არ ჩაგვიწერია, შეუძლიანთ თავისი უთანხმოება შეატყობინოს გამგეობას სექტემბრის 7-იდამ 21-მდე ამ დღის ზედ-დართვით. მათ უთანხმოების თაობაზედ გამგეობა შემდეგ საბჭოს მოახსენებს.

(3—1)

ინგლისის მაღაზიამ

ახლად მიიღო: ინგლისური კრავატები, კრავატები და აკვნები ყმაწვილებისათვის, ზღვის ბალახი, შოკოლადი, კაკაო, ჩაი, უნაგირები ქალებისა, კაცების და ყმაწვილებისათვის და სხვა მრავალი საქონელი. (10—3)

ახალი

სასწავლებელი და პანსიონი

გ. ნ-მის იოსელიანისა და ი. რ. მრევლიშვილისა.

იღებენ ყმაწვილებს მოსამზადებლად ყოველ საშუალ სასწავლებლებში.

ვარანცოვის ხიდის პირდაპირ, ნიკოლაევის ქუჩა. თ. გრუზინსკის სახლი № 21. (5—5)

ახალი წიგნი

(რუსულს ენაზედ)

„კერძო და სადგილ-მამულო უფლებანი ძველს საქართველოში“. I გამოცემა ფასი 35 კაპ. ისყიდება ტფილისის წიგნის მაღაზიებში. (50—11)

საბურთალოზე, **ქართველთ ქვეითის დრუჟინის** ბანაკში, დრუჟინის კანცელარიაში, 10 სექტემბერს დილის 12 საათზე იქნება **ვაჭრობა** განუმეორებლად. მსურველს შეუძლიან იჯარით აიღოს ერთის წლის ვადით, 1887 წლამდე, და დაუმზადოს დრუჟინას ჯარის კაცთათვის საჭირო ტანსაცმელი და სხვა ნივთნი.

კომანდირი დრუჟინისა პოლკოვნიკი თავადი ერისთავი.

(3—3)

ბალანსი

ქუთაისის თავად-აზნაურთ სადგილ-მამულო ბანკისა 1 ივლისს 1886 წლისა.

აქტივი

კასსა: ნაღდი ფულით . . . . , .	19,327	22		
გირაოს ფურცლებით	41,600	—	60,927	22
ფული მიმდინარე ანგარიშებზე:				
ა) სახელმწიფო ბანკის თბილ ის განყოფილებაში	26,347	50		
ბ) თბილისის კომმერციულს ბანკში	17,785	73		
გ) ქუთაისის საურთიერთო კრედიტის საზოგადოებაში	47,000	15		
დ) კორრესპონდენტების ხელში .	117,609	56	208,742	94
საწევრო ფული ქუთაისის საურთიერთო კრედიტის საზოგადოებაში . .	—	—	30	—
სახელმწიფო სარგებლიანი ქაღალდები, შენახულნი სახელმწიფო ბანკის თბილისის განყოფილებაში:				
ა) გირავოს ფურცლების გამოცემის უზრუნველ საყოფლად (§ 50 წესდებისა) (220,000)	202,417	39		
ბ) ტირაჟი გამოსულთა გირავოს ფურცელთა და კუპონთა ზღვევის უზრუნველ-საყოფლად (50,000) .	46,763	80		
გ) სათადარიგო თანხის სასაკუთრონი . . . . . (49,000) .	45,887	01	295,068	20
სარგებლიანი ქაღალდები ბანკის კასაში, ბანკის სასაკუთრონი (23,400) .	—	—	21,834	51
სახელმწიფო სარგებლიანის ქაღალდების სარგებელი 1 ივლისამდე 1886 წლისა	—	—	2,325	68
სესხნი: 1, ხანგრძლივი:				
ა) სოფლის ადგილ მამულებზე, $43\frac{1}{2}$ წლით.	969,500	—		
ბ) ქალაქის მამულებზე, $18\frac{7}{12}$ წლით	2,355,500	—	3,325,000	—
2, მოკლე ვადიანნი.	—	—	99,220	—
მოვალენი: ა) შემოსატანი ფული, რომელსაცა აქვს ლგოტა, ხანგრძლივ-სესხთამებრ	154,884	99		
„ მოკლე ვადიანთა სესხთა მებრ	4,463	92	159,348	91
ბ) ვადას გადაცილებული შემოსატანი ფული ხანგრძლივთა სესხთამებრ	63,793	87		
‹ ‹ მოკლე ვადიანთა სესხთამებრ	882	29		
ჯარიმა, რომელიც მოვალებზე ითვლება.	326	29	65,002	45
გირაოს ფურცელნი, ვალის მოსასპობად შემოსულნი	—	—	10,700	—
ვადამდე დახურდავებული კუპონები .	—	—	2,841	—
სხვა-და-სხვა დებიტორები	—	—	81,792	71
ხარჯები: ა) დასაბრუნებელნი . . .	—	—	13,851	01
ბ) ბანკის მოწყობ-მორთულობაზე .	—	—	1,296	04
გ) ბანკის მართვა შენახვაზე. . .	—	—	11.294	12
კომმისსია და კურტაჟი.	—	—	593	83
ლერბის ხარჯი	—	—	5	40
3% ლალა მოგებიდან	—	—	1,157	89
გირავოს ფურცელნი, საკომმისიოდ მიღებულნი (19,700) .	—	—	17,025	—
სესხნი, დანიშნულნი გასაცემად:				
ა) $43\frac{1}{2}$ წლიანნი	6,400	—	—	—
ბ) $18\frac{7}{12}$ „	11,500	—	17,900	—
ბალანსი. . .	—	—	4,395,908	21

პასსივი

ძირეული თავნი	—	—	516,835	18
სათადარიგო თანხა	—	—	45,993	10
საზოგადო საჭიროებათა თანხა. . .	—	—	7,260	31
გირაოს ფურცელნი, მსვლელობაში მყოფნი:				
ა) $43\frac{1}{2}$ წლიანნი	969,500	—		
ბ) $18\frac{7}{12}$ „ “	2,355,500	—	3,325,000	—
თანხა სესხთა მოსასპობი:				
ა) $43\frac{1}{2}$ წლიანთა	3,724	75		
ბ) $18\frac{7}{12}$ „ „	60,810	89	64,535	64
‹ › სარგებლისა:				
ა) $43\frac{1}{2}$ წლიანი	29,070	66		
ბ) $18\frac{7}{12}$ „ “	70,184	98	99,255	64
დასახურდავებლად წარმოუდგენელნი:				
ა) გირავოს ფურცელნი ტირაჟში გამოსულნი	84,600	—		
ბ) გირავოს ფურცელთა კუპონები.	104,058	—	188,658	—
ვადამდე მოსპობილნი სესხნი:				
ა) ნაღდი ფულით	2,112	98		
ბ) გირავოს ფურცლებით . . .	10,700	—	12,812	98
სარგებელი მოკლე ვადიანთა სესხთა .	9,876	30		
ჯარიმა	6,411	56		
სხვა-და-სხვა სარგებელი.	10,522	32		
ერთ-დროებითი შემოსატანი ფული .	1,169	23		
ყოველ წლიური შემოსატანი ფული ბანკის ხარჯების დასაფარავად, საზოგადო საჭიროებათა თანხის შესადგენად და სხვა.	39,495	50	67,474	91
გადასაცემი ფული	—	—	3,995	25
სარგებლიანი ქაღალდები კასსაში:				
ა) შესანახავად	14,200	—		
ბ) ბანკის სასაკუთრონი და სხვა .	27,400	—	41,600	—
სხვა-და ხხვა კრედიტორები	—	—	427	45
ცეცხლისაგან ზარალის საზღვევი . .	—	—	4,069	37
სახელმწიფო ლალა კუპონებისა . .	—	—	70	05
გირავოს ფურცელნი, მსვლელობაში გამოსაშვებნი:				
ა) $43\frac{1}{2}$ წლიანნი.	6,400	—	—	
ბ) $18\frac{7}{12}$ ‹ ›	11,500	—	17,900	—
გადასახადი მომავალის ვადისა. . .	—	—	20	33
ბალანსი. . .	—	—	4,395,908	21

(1—1)

Дозволено цензурою. Тифлисъ 3 сентября, 1886 года. სტამბა გ. მელიქიშვილისა, არწრუნისეულ ქარვასლაში №№ 26, 27, 28. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე